

განმარტებითი ბარათი

„ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული ვალდებულებიდან, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალება გამოსცეს ბრძანება „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების ნუსხის შესახებ“, თუმცა, ევრო რეგულაციებში, კოდექს ალიმენტარიუსში, ასევე, არცერთ ევროპული ქვეყნის სტანდარტში (მაგ: დიდი ბრიტანეთის, გერმანიის) არ არსებობს პრეპარატის ჩამონათვალი, არსებობს მხოლოდ იმ ნივთიერებათა ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც დაშვებულია ბიოაგროწარმოებაში. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ უნდა გამოიცეს ბრძანება „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხის შესახებ“, ვინაიდან, პრეპარატების ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაში ვერ იქნება გათვალისწინებული მსოფლიოში არსებული ყველა ბიოპრეპარატი და ასევე, გართულდება ახალი ბიოპრეპარატის ბაზარზე შემოსვლა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი და იგივე პრეპარატი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახელით შეიძლება გამოდიოდეს, რაც პრეპარატების ჩამონათვალის არსებობის შემთხვევაში, სხვა სახელის მქონე პრეპარატების შემოსვლას და ბიოაგროწარმოებაში გამოყენებას შეუძლებელს გახდის ან გაართულებს მაინც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია, „ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული ვალდებულება - „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული პრეპარატების ნუსხის შესახებ“ შეიცვალოს სხვა სახის ვალდებულებით

კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოსცეს ბრძანება „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხის შესახებ“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით იცვლება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, მავნებლების, დაავადებებისა და საერველებისაგან მცენარეთა დაცვის განხორციელების აუცილებლობას მხოლოდ აგროტექნიკური, მექანიკური, თერმული და ბიოლოგიური მეთოდებით და ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების გამოყენებით.

აგრეთვე, იცვლება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, და შესაბამისად, 17-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან შეთანხმებით, გამოსცემს ბრძანებას „ბიოპროდუქციის წარმოებისას ნებადართული ნივთიერებების ნუსხის შესახებ“, 2007 წლის 1 დეკემბრამდე, რაც შესაძლებელს გახდის ბიოაგროწარმოებაში იმ პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც შეიცავენ დაშვებულ ნივთიერებას ან ნივთიერებათა ერთობლიობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შესათანხმებლად დაგზავნილ იქნა სამინისტროებში.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.